ხელშეკრულება №02-10/223
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ბათუმი 31 ოქტომბერი 2013 წელი

სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე–2 თავის, მე-10[1] მუხლის, მე-3 პუნქტისა და „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე–3 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერნი, ერთის მხრივ ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“ (ქ. ბათუმი გოგებაშვილის ქ. №46ა) (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გოჩა ბერიძის სახით და მეორეს მხრივ ფიზიკური პირი „არჩილ ზოიძე“ (მის.: ქ. ბათუმი, სულაბერიძის ქ. №25/1) (შემდგომში _ მიმწოდებელი), ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს სატვირთო ავტომანქანით ქ. ბათუმიდან მუნიციპალიტეტებში 2000 ძირი მოცვისა და 300 ძირი კაკლის ნერგის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მომსახურების (CPV კოდი: 60100000 – საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები) შესყიდვა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებისა და წინამდებარე ხელშეკრულებაზე თანდართული დანართი №1-ის შესაბამისად.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება და დაფინანსების პირობები.

2.1 შესყიდვის ობიექტის ფასი განისაზღვრება ლარებში.
2.2 შესყიდვის ობიექტის საერთო ღირებულება დღგ–ს გარეშე შეადგენს 250 (ორას ორმოცდაათი) ლარს.
2.3 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შესყიდვასთან დაკავშირებული მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს დღგ–ს გარეშე.
2.4 შესყიდვა ხორციელდება გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით, ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრსა“ და გაეროს განვითარების პროგრამის წარმომადგენლობას შორის 2013 წლის 1 აგვისტოს გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც დარეგისტრირებულია საერთაშორისო ხელშეკრულებების შესაბამისად საგადასახადო შეღავათით მოსარგებლე პირთა ერთიან ელექტრონულ რეესტრში. საქართველოს საგადასახადო კოდექსის 168–ე მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, გაეროს განვითარების პროგრამის დაფინანსებით საქონლის/მომსახურების მიწოდებისას მიმწოდებელი სარგებლობს ჩათვლის უფლებით და გათავისუფლებულია დღგ–ს გადასახადისაგან.

3. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

3.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულების პირობებს და დააკმაყოფილებს შემსყიდველის მოთხოვნებს.
3.2 შესყიდვის ობიექტის ხარისხი უნდა შეესაბამებოდეს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტექნიკურ ნორმებს.

4. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პირობები

4.1 მიმწოდებელი ვალდებულია მომსახურების მიწოდება განახორციელოს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

5. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

5.1. შესყიდვის ობიექტი მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ საბოლოო შემოწმებისა და საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმების შემდეგ.
5.2. შესყიდვის ობიექტის მიღების ან/და საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.
5.3. შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები გამოვლენილი წუნდების მიზეზის მითითებით.
5.4. შემსყიდველის მხრიდან მომსახურების მიღება–ჩაბარებას ახორციელებს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს კონსულტანტი აგრო ბიზნესში დავით აბულაძე.

6. ანგარიშსწორების ფორმა, გრაფიკი (ვადები)

6.1 მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით.
6.2 შემსყიდველი ვალდებულია მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან, მიმწოდებლის მიერ მომსახურების მიწოდებასა და აღნიშნულის თაობაზე მხარეთა შორის მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან, ასევე შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან არა უგვიანეს 10 სამუშაო დღის ვადაში.
6.3 ანგარიშსწორება განხორციელდება დღგ–ს გარეშე.

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
ა)შეამოწმოს მიწოდებული მომსახურების ხარისხის შესაბამისობა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებთან;
7.2 შემსყიდველი ვალდებულია:
ა) მოახდინოს ანგარიშსწორება მიმწოდებელთან ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;
ბ) უზრუნველყოს შესყიდვის მომსახურების მიღება.
7.3 მიმწოდებელს უფლება აქვს:
ა)მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით.
7.4 მიმწოდებელი ვალდებულია:
ა) დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების დარღვევისას

8.1. თუ მიმწოდებელის მიერ დარღვეული იქნა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მიწოდების ვადები, მაშინ მას დაეკისრება პირგასამტეხლოს გადახდა მოსაწოდებელი მომსახურების 0,5 %-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.
8.2. იმ შემთხვევაში, თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5% პროცენტს, შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.3. მიმწოდებელს მიერ უხარისხო მომსახურების მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს გაეგზავნება წერილობითი გაფრთხილება. 3 კალენდარული დღის განმავლობაში არსებული

ხარვეზის აღმოუფხვრელობის შემთხვევაში, მას დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების ღირებულების 10%-ის ოდენობით და შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება.
8.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის შემთხვევაში, შემსყიდველი უფლებამოსილია, პირგასამტეხლოს თანხა გამოქვითოს მოწოდებული მომსახურების ასანაზღაურებელი თანხიდან.
8.5. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

9. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2013 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების განხორციელების წესი

10.1 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში, აღნიშნული ცვლილება უნდა გაფორმდეს წერილობითი ფორმით.
10.2 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველი ორგანიზაციისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა.
10.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში, დაუშვებელია სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობის გაზრდა.

11. ფორს-მაჟორი

11.1 ხელშეკრულების დამდები რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ გამოიწვევს საჯარიმო სანქციების გამოყენებას, თუ ხელშეკრულების შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოების შედეგი.
11.2 ამ მუხლის მიზნებისათვის „ფორს-მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან და რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი. ასეთი გარემოება შეიძლება გამოწვეული იქნას ომით, სტიქიური მოვლენებით, ეპიდემიით, კარანტინით და საქონლის მიწოდებაზე ემბარგოს დაწესებით, საბიუჯეტო ასიგნებების მკვეთრი შემცირებით და სხვა.
11.3 ფორს-მაჟორული გარემოებების დადგომის შემთხვევაში ხელშეკრულების დამდებმა მხარემ, რომლისთვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულებების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ. თუ შეტყობინების გამგზავნი მხარე არ მიიღებს მეორე მხარისაგან წერილობით პასუხს, იგი თავისი შეხედულებისამებრ, მიზანშეწონილობისა და შესაძლებლობისდა მიხედვით აგრძელებს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას და ცდილობს გამონახოს ვალდებულებების შესრულების ისეთი ალტერნატიული ხერხები, რომლებიც დამოუკიდებელი იქნებიან ფორს-მაჟორული გარემოებების ზეგავლენისაგან.

12. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

12.1 ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
12.2 შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

13. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

13.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ტექნიკური კონტროლი.
13.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი რესურსებით უზრუნველყოს შემსყიდველი კონტროლის ჩატარებისათვის აუცილებელი ტექნიკური საშუალებებით და სხვა სამუშაო პირობებით.
13.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.4. მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების კონტროლს შემსყიდველის მხრიდან განახორციელებს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"–ს ა(ა)იპ ,,აგროსერვის ცენტრი"–ს კონსულტანტი აგრო ბიზნესში დავით აბულაძე.

14. სხვა პირობები

14.1 მხარეები აუნაზღაურებენ ერთმანეთს მიყენებულ ზარალს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
14.2 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.
14.3 მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.
14.4 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, სამ ეგზემპლარად, რომელთაგან თითოეულს აქვს თანაბარი იურიდიული ძალა და ინახება ხელმომწერ მხარეებთან. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.
14.5 წინამდებარე ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მხოლოდ მას შემდეგ, რაც ის წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.

15. მხარეთა მისამართები და რეკვიზიტები

„შემსყიდველი"	„მიმწოდებელი"
ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი"	ფიზიკური პირი „არჩილ ზოიძე"
მის. ქ. ბათუმი, გოგებაშვილის ქ. №46ა	მის.: ქ. ბათუმი, სულაბერიძის ქ. №25/1
ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბანკის კოდი BAGAGE22	სს ,,პროკრედიტ ბანკი" ბანკის კოდი MIBGGE22
ა/ა №GE20BG0000000263515500	ა/ა №GE33PC0163600100007059
ს/კ 445399391	პირადი/№ 33001006923
დირექტორი	
გოჩა ბერიძე	არჩილ ზოიძე

დანართი № 1

ფასების ცხრილი

№	CPV კოდი და დასახელება	მომსახურების დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	საერთო ფასი
1	CPV კოდი 60100000 საავტომობილო ტრანსპორტის მომსახურებები	სატვირთო ავტომანქანით ქ. ბათუმიდან ქედის, შუახევის და ხულოს მუნიციპალიტეტებში 2000 ძირი მოცვისა და 300 ძირი კაკლის ნერგის ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული სატრანსპორტო მომსახურება. ავტოსატრანსპორტო საშუალების სახ. №–IRA 524	1 რეისი	250,00	250,00
ჯამი				ლარი	250,00

ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრი“
დირექტორი
გოჩა ბერიძე

ფიზიკური პირი „არჩილ ზოიძე“

არჩილ ზოიძე